B. S. GROUP

# შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

# LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

თარიღი: 12.08.2019

BSG-OUT-MNG-COR-0775

**ადრესატი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 8 ივლისს კომპანიამ N BSG_OUT-MNG-COR-0565 წერილით მომართა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. აღაიანის მიმდებარე ტერიტორიაზე კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე ასფალტის დანადგარის ექსპლუატაციის პირობის შეცვლის თაობაზე, კერძოდ ასფალტის დანადგარის სხვა დანადგარით ჩანაცვლების თაობაზე სკრინინგის გადაწყვეტილების მოთხოვნით, რასთან დაკავშირებით დამატებით განგიმარტავთ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2005 წლის 8 დეკემბერს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე" გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N175, ასფალტის წარმოებაზე CESAN მარკის დანადგარზე. (დანართი N1 და N2)

2013 წელს აღნიშნული დანადგარი ჩანაცვლებული იქნა ახლი ტექნოლოგიური პარამეტრების მქონე 250 ტ/სთ-ში მაქსიმალური საპროექტო წარმადობის, მწარმოებლის მიერ სეტიფიცირებული იტალიური წარმოების „TOP TOWER 3000/MARINI"(კოდი UM130021, 16.07.2013) -ის ტიპის ასფალტის დანადგარით.

ასფალტის დანადგარის ცვლილების, ასევე იმის გამო, რომ საწარმოში არსებული ბიტუმსაცავი რეზერვუარები საკითხი არ იყო განხილული არსებულ გზშ-ში 2017 წელს კომპანიის მიერ მომზადდა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა სამინისტროში შეტანილი იქნა ეკოლოგიური აუდიტის დოკუმენტაცია(სადაც განხილული იყო, როგორც ასფალტო-ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება, ასევე ბიტუმსაცავი რეზერვუარების ფუნქციონირება), რის საფუძველზე 2017 წლის 24

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 11609
"13" 08 2019
3/6/3210

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71; ტელ.: +995 322 207 474/75 ფაქსი: +995 322 207420
71 Vazha-Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia; Tel.: +995 322 207 474/75 Fax: +995 322 207420
info@bsg.com.ge; www.bsg.com.ge

თებერვალს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის N0-82 ბრძანებით მიეცა უფლება საქმიანობის გაგრძელებაზე. (დანართი N3 ) ხოლო 2018 წლის 13 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-460-ით(დანართი N4) მიღებული იქნა გარემოსადვითი გადაწყვეტილება ნავთობ-პროდუქტების საცავის მოწყობაზე და ექსპლოატაციაზე, რაც შეეხება ასფალტის მწარმოებელი დანადგარის ცვლილებას, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილი არ ქონდა ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური სქემის ცვლილებას, ასევე არ ხდებოდა წარმადობის გაზრდა, ხოლო ასფალტის წამოებაზე უკვე გაცემული იყო ნებართვა სამინიტროს მიერ საკმარისად ჩაითვალა ცვლილების ასახვა ზღვრულად გაფრქვევის ნორმების პროექტში. (დანართი N5).

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ფლობს რამდენიმე მობილურ ასფალტის მწარმოებელ დანადგარს, რომელთა საწამოში შეტანა და ექსპლოატაციაში გაშვება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის მიწის, სამშენებლო ან სხვა ტიპის სამუშაოებთან, ასევე იქიდან, რომ კომპანიას საქართველოს მასტაბით გააჩნია სამშენებლო ბაზები სხვადასხვა რეგიონში და აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე, როგორ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებში, საჭირო ხდება ამ დანადგარების ლოკაციების ცვლილება პროექტების განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე.

ასეთი ცვლილების საჭიროებიდან გამომიდნარე კომპანია არ გამორიცხვას, მომავალში ამ დანადგარის კვლავ ჩანაცვლებას, რის გამოც კომპანია იტოვებს უფლებას შეინარჩუნოს მონაცვლეობით, ყველა სამინისტროსთან შეთანხმებულ დანადგარის გამოყენების უფლება.

საქრთველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნულ საქმიანობაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაცემის მოთხოვნით კომპანიამ მიმართა სამინისტროს მიმდინარე წლის 8 ივლისს .

მიმდინარე წლის 19 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-687-ით მიიღო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი N6)

გაცნობებთ, რომ შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი" კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავს ზემოთ მითითებული დანადგარის სხვა კერძოდ, გერმანული "BENNINGHOVEN" მარკის "MBA 1250"- ტიპის მობილური დანადგარით ჩანაცვლებას

B. S. GROUP

შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

გარკვეული პერიოდით, რომლის წარმადობა შეადგენს 100 ტ/სთ. ამ დანადგარით არსებული დანადგარის ჩანაცვლებით, ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური სქემა არ შეიცვლება, ხოლო წარმადობა მცირდება. ასევე არ შეიცვლება გზშ-ში და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N175-ში განხილული, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებები, ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები და სხვა პირობები.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა - **ექსპლუატაციის პირობების შეცვლა** საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის 11-ე ქვეპუნქტის თანახმად, წამოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობას და ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წარმოგიდგენთ „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების" შესახებ კორექტირებულ ინფორმაციას, დანართი N6

პატივისცემით,

ამირან მამუჭაძე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის" დირექტორი

12.08.2019

BSG-OUT-MNE-COR-0775

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71; ტელ.: +995 322 207 474/75 ფაქსი: +995 322 207420
71 Vazha-Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia Tel.: +995 322 207 474/75 Fax: +995 322 207420
info@bsg.com.ge; www.bsg.com.ge